# თეატრი და ცხოვრება

ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

38.—1914 ფ ა ს ი 10 კ. 23 ნოემბერი


ვ ა ს ო

ოხშაბათს 26 გიორ-
ბისთვის „არტისტ. [redacted]
თეატრში“

ა ბ ა შ ი ძ ი ს

საბენეფისოდ „მზის დაბ-
ნელება საქართველოში“
„ლამე“




**ვასო აბაშიძე სხვა და სხვა როლში**
მისი ბენეფისის გამო „არტისტ. საზოგ. თეატ-
რში“ ოთხშაბათს 26 გიორგობისთვის.

## № 38

## შინაარსი:


1. **მეთაური** — გამარჯობა — გაგიმარჯოს 1
2. **სოსო ყივთკარელი** — სახალხო თეატრები ქ. თბილისში ”
3. **მთის ნიავი** — დაჭრილი შველი 2
4. **მიწიშვილი** — საით მივდივართ? 3
5. **გ. ქუჩიშვილი** — არარაობა ”
6. **აკაკი პაპავა** — რკალები, — ცრიატი სილამაზე 4
7. **გ. ჭალატყელი** — ომი და ღმერთები 6
8. **ი. მჭედლიშვილი** — საყვედური 8
8. **იოსებ გედევანიშვილი** — სინათლე, — ნაწილი მეორე (ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ.) 10
9. **ქართული სახიობა** (დრამ. დასის ამხანაგობა, ქუთაისის თეატრი, სახალხო სახლი, ავლაბრის სახალხო თეატრი) 12
10. **წვრილი ამბები** 16

**სურათები; განცხადებანი;**



**არტისტიულ საზოგად. თეატრი**

**ოთხშაბათს** 26 **ნოემბერს** 1914 **წ.**

## ბენეფ სი

# ვასო აბაშიძის

წარმოდგენილი იქმნება:

I

ორიგინალური სამ მოქ კომედია ზ. ანტონოვისა

## მზის დაბნელება საქართველოში

## II ღ ა მ ე

დრ. ეტიუდი 1სურ.

**მონაწილეობს მთელი დასი**

ბილეთ. ფასი დაკლებულია

ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**

---

**ჟ უ რ ნ ა ლ**

## „თეატრი და ცხოვრების“

წლიურად გამოწერისათვის ანუ ნომრობლივ შესაძენად თბილ. რკინის გზ. სახელოსნოში შეიძლება მიმართონ **ალექსანდრე ბეგლ. ძაძამიას**

(5—3)

---

**ავლაბრის სახალხო თეატრი**

**კვირას, 23 ნოემბერს 1913 წ.**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ მსახიობთ ი. ივანიძის და გ. იორდანიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# ც ი მ ბ ი რ ე ლ ი

კომ. 4 მოქ. ნ. ა. ცეგარლისა

**მონაწილეობენ**: ქ-ნნი: ა. კავთელი, ვ მარგველიშვილი; ბ-ნნი: ივანიძე, სულთანიშვილი, რევაზიშვილი, მანჯავიძე, კობახიძე, ქვლივიძე, ბროძელი ურუბეგაშვილი და სხ.

დასაწყისი საღამოს 7 საათ.

**რეჟ. ი. ივანიძე** რეჟ. თან. **ი. რევაზიშვილი**

**მორიგი გამგე ალ. თავდგირიძე**

**ანონსი**: მზადდება **„ძვსი მთლელნი“ „ყაჩაღები“** და სხ.

---

**თ ე ა ტ რ ი ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ ი**

**კვირას, 23 ნოემბერს 1914 წ.**

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრისაგან ქ. ე. ჩერქეზიშვილის ვ. ა. აბაშიძის, კ. დ. ყიფიანის და ს. პ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# რაც მინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა

**მონაწილეობენ**: ქ. ე. ჩერქეზიშვილი, ვ. ამირანაშვილისა, ნ. ინაიდა. პ მიხაშვილი და სხ. ბ.ბ, ვ. აბაშიძე, კ. დ. ყიფიანი, გ. გაბინაშვილი, ი. კანდელაკი, ვ. კუდახაშვილი, ა. კაციტაძე, გ. სვანიძე, ა. ომანიძე, გ. შავიშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 ს.**

ადგილების ფასი: 10 კ. 30 კ-მდე

რეჟ. **ს. პ სვიმონიძე** რეჟ. თან. **ი. კანდელაკი**

მორიგი გამგე **ე. გახოკია**

თეატრი და ცხოვრება

№ 38

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 38 კვირა 23 გიორგობისთვე 1914 წ.

## 23 გიორგობისთვე

**გამარჯობა — გაგიმარჯოს!**

დიდის რუსეთის საარაკო ბრძოლაში ჩვენი პატარა სამშობლოს შვილებიც გაიყვანეს, რომელნიც უმაგალითო გმირობით იბრძვიან... გაიხმეს და გავიდნენ...

უბრძანეს და იხოცებიან...

ქართველის რაინდობამ კიდევ ერთხელ გაიღვიძა, რუსეთის ხმლის გასამარჯვებლად იბრძვის და კვდება...

მაგრამ ნუ თუ ეს მსხვერპლიც, როგორც წინანდელი, უქმად ჩაივლის?!..

მართალია, ჯერ კიდევნაადრევია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ მახლობელ წინაპართა შეცდომანი არ განვიმეოროთ, იმ წინაპართა, რომელნიც ქვეყნის დამსახურების სანაცვლოდ პირად დაჯილდოებას—ჩინ-ტემლაკებს ანუ სხვა-ფრივ წარჩინებას — მოითხოვდენ.

დღეს პირადის დაჯილდოვებისათვის არც ერთი ქართველის ბაგე არ უნდა დაიძრას.

შემთხვევა რო მოგვეცემა, აშკარად და გაბედვით უნდა ვსთქვათ რაც ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას..ე. ი. ეროვნული თვითგანვითარება-ცხოვრების უზრუნველყოფა.

დღეს სისხლითა და ოფლით განვამტკიცეთ ეს უფლება, ჯერ კიდევ ერთის საუკუნის წინად ორთა მეფეთა შორის დადებული..

დაე, დიდის რუსეთის ფრთათა ქვეშე თავისუფლად ამოისუნთქოს იმ მებრძოლ ქართველთა სამშობლომ, რომლის შვილნიც საკუთარს კერას მოწყვეტილნი, მამულ-დედულს განშორებულნი შორეულ ქვეყნებში ასამარებენ თვის ძვლებს...

ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ ათასობლივ დახოცილ ქართველ მეომართა აჩრდილნი მოსვენებას არ მოგვცემენ!..

ნუ დავივიწყებთ, და სხვასაც მოვაგონოთ, რომ გამარჯობას გაგიმარჯოს უნდა!..

## სახალხო თეატრები ქ. თბილისში

ფრიად სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სახალხო თეატრების გამრავლება ქ. თბილისში. დიდია დანიშნულება ამ თეატრების და ნაყოფსაც მნიშვნელოვანს გამოიღებს, თუ საქმის სათავეში მდგომნი მუყაითად და სიყვარულით გაუძღვებიან ნაკისრ მძიმე მოვალეობას. მძიმე მოვალეობას მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ზოგიერთ მათგანს უხდება მუშაობა ქალაქის იმ განაპირა უბნებში, სადაც არ მოიპოვება თითქმის არც ერთი გონებრივად განმავითარებელი და ზნეობრივად გამაფაქიზებელი დაწესებულება და იმისთანა აუდიტორიებთან, რომელთაც ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ თეატრის მნიშვნელობაზე.

გარდა ზუბალაშვილის სახ. სახლთან არსებულ ქართ. წარმოდგ. მმართვ. წრისა, რომელმაც უკვე შექმნა თვისი აუდიტორია და რომელსაც უფრო ადვილ პირობებში უხდება მუშაობა, არსებობს კიდევ სამი ქართ. წარმ. მმართვ. წრე ქალაქის განაპირა უბნებში: ნაძალადევში, ავლაბარში და ხარფუხში.

ეს უკანასკნელი სამი წრე სულ ორიოდე წელიწადია რაც შეუდგა საქმეს და ყოველ წლივ აწარმოებს სეზონს

იწვევენ წლიურად საქმის მცოდნე გამოცდილ მსახიობთ რეჟისორებად და მართავენ რეგულიარულად ქართულ წარმოდგენებს.

სამწუხაროდ არ მიდევნებია თვალყური ნაძალადევის წრის მოქმედებისათვის, მაგრამ ვისაც კი შევხვედრივარ იქაურ წარმოდგენებზე დამსწრეს, თითქმის ყველას უარყოფით მოუხსენებია ამ წრის მოღვაწეობა წარსულ სეზონებში იმ მხრივ, რომ ჯეროვანი ყურადღება არა

ჰქონია მოქცეული წარმოდგენების მწყობრად დადგმას და ამასთანავე ხშირი ყოფილა უწესობა, როგორც სცენაზედ, აგრეთვე პარტერში. ეს კი მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოთ ამ საქმის მესვეურთ, რადგანაც ისინი ამით დალატობენ თვით სახალხო საქმესაც და აგრეთვე იმათაც, ვინც მათ ნდობა გამოუცხადა და საქმის სათავეში ჩააყენა. ქალაქის ეს ნაწილი ნაძალადევი — მოზრდილია და მცხოვრებნიც ისე შეგნებულნი არიან, რომ სახალხო თეატრი აქ სულ ადვილად იარსებებს და კარგად მოწყობილი, სისტემატიურად გამართული, წარმოდგენების ხარჯიც ანაზღაურდება და თუ ეს ვერ შესრულეს, ჩვენ სათავეში მდგომთ ჰკლებიათ ენერგია, სურვილი და სიყვარული ამ საქმისადმი და რაც მალე ჩამოეცლებიან და დაუთმობენ ადგილს უკეთესებს, მით მეტ პატივის ცემას დაიმსახურებენ.

ავლაბრის და ხარფუხის სახალხო თეატრები ემსახურებიან ქალაქის იმ განაპირა უბნების ჩამორჩენილ მცხოვრებთ, სადაც მძიმე სენად გარდაქცეულა ყომარბაზობა, ლოთობა, ჩხუბი და უწმაწური ლანძღვა-გინება. თეატრის დარბაზში განუწყვეტელი ღრიანცელი, ლანძღვა-გინება, აყალ-მაყალი, გამოლაპარაკება სცენაზე მოქმედ პირებთან და აქედან წარმოიდგინეთ, თუ რა მხნეობა უნდა დასჭირებოდათ გამგეობის წევრთ, რომ მუშაობაზე გული არ აეცრუებინათ. რა თხოვნით, რა დაყვავებით, რა ტკბილი სიტყვებით არ მიმართავდენ ხოლმე უწესობის მომხდენთ; თვით წრის რეჟისორი ბ-ნი ი. ივანიძე ქუჩაშიც და აგრეთვე სცენიდანაც ხშირად უხსნიდა თეატრის მნიშვნელობას, სთხოვდა პატივი ეცათ ამ დაწესებულებისათვის და იმათთვის, ვინც მათსავე სასარგებლოდ უანგაროდ შრომობდნენ. გამგეობასაც სწამდა, რომ დანიშნულება ამ თეატრისა იყო სწორედ ამისთანა გზა-აბნეულების გასწორება და ამიტომ დიდის ენერგიით ებრძოდა და ებრძვის ყოველ დაბრკოლებას. გამგეობამ მიმდინარე სეზონში უკვე გამართა რამდენიმე წარმოდგენა, ჯერ-ჯერობით საქმე კარგათ მიდის და თვით ამ გამგეობის შემადგენლობა იძლევა გარანტიას, რომ წრევანდელი სეზონი სასურველად დამთავრდება...

ხარფუხის სახალხო თეატრში წარსულ სეზონში რამდენიმე წარმოდგენას დავესწარი და ყოველთვის სრული წესიერება სუფევდა, რაც აიხსნება აგრეთვე ამავე წრის გამგეობის მხნე მოქმედებით.

ამ წრემაც მიმდინარე სეზონისთვის აირჩია ახალი გამგეობა ცხრა კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც, გარდა ორი-სამი პირისა, დანარჩენები ისევ ძველი წევრები იქმნენ არჩეულნი.

იმედია, ზემოდ-აღნიშნულ წრეთა გამგეობანი სძლევენ ყოველ გაჭირვებას, განაგრძობენ მუყაითსა და გულწრფელ მუშაობას, შეაგნებინებენ თავიანთ აუდიტორიებს თეატრის მნიშვნელობას, გაუღვივებენ მისდამი სიყვარულს და აღუზრდიან ჩვენს დიადს ეროვნულ თეატრს მომზადებულ მსმენელთ.

აგრეთვე ვუსურვებ ამ ზემოხსენებულ უბნების მცხოვრებთ სიყვარულით და პატივისცემით მოეპყრან ამ დაწესებულებას, ძმურად ამოუდგნენ მხარში მათთვისვე მზრუნავ უანგარო მუშაკთ და გაუადვილონ მოღვაწეობა ამ ეკლიან ასპარეზზე

სოსო ყივთკარელი

# დაჭრილი შველი

ჩემო სიცოცხლევ! აივანში მჯდომს ხელში გეჭირა წიგნი გახსნილი,
ყელს მშვენიერსა შემოგხვევოდა თმა საოცნებო, შავ-შავი მსხვილი,
და ჰკითხულობდი, თუ ვით დიანამ დასჭრა ისრითა გულ-მკერდში შველი,
თუ ვით შესცქეროდა იმის წამებას, ქალ-ღმერთი ტურფა, გულ-მკერდ შიშველი.
წყენით ამბობდი: „ნეტავ, დიანა რად იყო ასე მკაცრი, გულ-ცივი?"
და თანაც შენსა გრძელ გრძელ წამწამებს ეკიდებოდა ცრემლების მძივი.
მაგრამ, ჰე ტურფავ! შენც დიანა ხარ! შენც ჩემი გული დასჭერ ისრითა
და როს მე მტანჯავ, შველს რად იბრალებ! ჩემზე საბრალო არის ის რითა?

მთის ნიავი



**დ. ს. მგალობლიშვილი**

(მისი ბენეფისის გამო ხუთშაბათს, 27 ნოემბერს ქ. ქუთაისში)

ხუთი წელიწადია, პირველად გამოვიდა თბილ-სის სცენაზე, შარშან მსახურებდა ბათუმში პირველი როლების ალმასრულებლად. წელს ქუთაისშია, ერთ პირველ მსახიობთაგნად ითვლება და ყოველთვის პირნათლად ასრულებს ნაკისრ როლებს.

# „საით მივდივართ?“

...და ჩვენ მივცურავდით ..

ღამე იყო, უმთვარო ღამე. მხოლოდ ვარსკვლავები კვესავდენ წყვდიადით მოცულ ცის სივრცეში... ცა იდუმალებით იყო მოცული, მხოლოდ ვარსკვლავები ამხილებდენ, რომ იქ, ზევით რაღაც საიდუმლო მოძრაობაა, რაღაცა საიდუმლო ძალა აერთებს ამ მოძრავ ბრწყინვალე წერტილებს ერთმთლად და მათის ბგერიდან რაღაც მომხიბლავი ჰარმონია გამოისმის...

ზღვა კი ჩვეულებრივად ღელავდა, შავი ტალღები ერთი მეორეს ეხეთქებოდენ, ხან ერთმანეთს წვეთებად აქცევდენ, ხან კი შეერთებულნი ჩვენს ნავებს ეკვეთებოდენ და უფსკრულისკენ გაქანებით ემუქრებოდენ.

ჩვენ კი მივცურავდით. .

ირგვლივ წყვდიადი... არ ვიცოდით საით მივდიოდით, რა გზას ვადექით. ოდნავაც ვერ ვხედავდით ნაპირის შემოხაზულებას და სადღაც შორეულ ბორცვებიან კიდეს მოწყვეტილნი, ინსტიქტიურად პირდაპირ, სულ ერთი მხრისაკენ მივდიოდით..

—აუუუ!. – გაისმის ამხანაგების ხმა...

—იუუუ!. —გასძახიან შორიდან.

— საით მივდივართ?!

—არ ვიცით!..

—დანიშნოსის მახლობლად უნდა ვიყვნეთ!..

—ვერაფერს ვერ ვამჩნევთ!!..

. და ისევ მივცურავდით... ჩვენი პატარა ნავები ხან ზეცისაკენ მიხტოდენ, ხან კი უფსკრულ სკენ ელვის სისწრაფით მიფრინავდენ, მაგრამ რაღაც უხილავი ძალით ნავები ისევ ზევით ექცეოდენ ტალღებს... მივცურავდით ბნელში... არ ვიცოდით—სად, არ ვიცოდით—საიდან...

ყოვილ ნიჩბის მოსმით ჩვენ თითქოს უფრო ვეფლობოდით ამ თვალგაუვალ წყვდიადში, ყოველი ნიჩბის მოსმა გვაშორებდა განვლილ გზას, რომელიც მყისვე წყვდიადში ეხვეოდა...

წყვდიადიდან წყვდიადისაკენ!..

—აუუუ!..

—დაიცადე, დავისვენოთ!..

— ჩქარა, ჩქარა—ქარს უმატებს!..

და ჩვენ თავს ვიყრით. . ცოტას ვისვენებთ... ქარს უმატებს, ტალღები იზრდებიან, ჩვენ ისევ მივდივართ.. ისევ მივცურავთ... ირგვლივ ბნელა, სქელი და მძიმე წყვდიადი გვფარავს ჩვენ..

წყვდიადს ვსტოვებთ და წყვდიადში ვეხვევით...

—წყვდიადიდან წყვდიადისაკენ!..

და მივდივართ!..

—საით, საით მივდივართ?—გაისმის ხმები ..

**მიწიშვილი**

# არარაობა

დრო მიდის... მიდის. . შეუმჩნევლად
ვშორდებით, ვკარგავთ ჩვენს ჭაბუკობას;
გვიახლოვდება სიბერის ჟამი
და მოგონება გვიწამლავს გრძნობას.
რა ხან-მოკლეა კაცთა სიცოცხლე,
და რა რიგ მალე ვეძლევით ჰქნობას.
მაგრამ ვის ძალუძს, რომ შეებრძოლოს
ყოვლის დასასრულ არარაობას ..

# რეალები

## ცრიატი სილამაზე

მინდა ერთის წუთით თვალი მოავლოთ განვლილ გზას და ორის სიტყვით გითხრათ, რა მოგვცა უკანასკნელ დროის პოეზიამ ისეთი, რაც უკვდავების თესლს ატარებს?

აქ, უველაზე ადრე, უნდა შევჩერდე სიყვარულის სახეზე. მე ამ უფლებას ვერვინ წამართმევს: აგი მისი ღრუბელი დამიწურავს და ნაზი სითხე შემისვამს ლურჯის თასიდან, თეთრი არწივის ფრთები მძლავრად მოხვედრია ჩემს გულს და მისგან მონაბერ ვერცხლის ჭაერით სიმთვრალემდე მისუნთქნია.

მაგრამ ამაზე ბევრს არას გეტყვით.. ჩემი სიყვარული ორის ქვეყანა იყო, ან შეიძლება მარტო ჩემი ოქროს ზღაპარი.

მისი შავი თმები გულზე დამიყრია და წამწამები წამწამებში გადამიხლართავს. წავიდა იგი. მაგრამ ჩემს გულს და თვალებს აღარ ადგება მზის სინათლე, იგი ვერ მათბობს. ოცნების ჩრდილი ვერ გაჭფანტა სიცხადის მზემ. წავიდა კი? ალბად.. აგი მისი ხმა ფერად აბრეშუმებით აღარ ქსელავს ჩემს სმენას, მაგრამ ჩემი სიყვარული სხვებისათვის რის მაქნისია! ამ გრძნობის წარმტაცი სახეები სხივს თვალებს ვეღარ ატყუილებს... მარტო ფერები და ხნანს. ეს ასეა, მაგრამ ჩვენმა პოეზიამ მარტო ეს მოგვცა; არ იფიქროთ, აქ განდიდების მანია იყოს. რაც მე გითხარით ორის სიტყვით ჩემს სიყვარულზე, მარტო ამას იხილავთ სხვა და სხვა სახით ჩვენს პოეზიაში. სული კი შფოთავს და მოუსვენრად ახალ სიტყვას დაეძებს თვის გადაბადებისათვის; და იგი სიტყვა ჯერ არ თქმულა.

*
* *

თქვენ გატაცებით ჰკითხულობთ ქართულ ლექსებს, თქვენ იცნობთ ბევრ თანამედროვე მგოსანს, მაგრამ ვერც ერთს ვერ იცნობთ, ,რის მეორესაგან ვერ არჩევთ. მათი სულის საიდუმლოება თქვენთვის უცხოა, თუმცა ამ სულის ღელვის ზოგ ტალღას თვის სილამაზით თქვენი ჭვრეტა წარუტაცნია. „დამემსხვრა ცრემლი, ვით მინა!“ მეუბნება გატაცებით ქართველი მსახიობი, „რა მშვენიერია.. ეს გრიშაშვილის ლექსიდან არის“. და მრავალ ასეთს, მართლაც ლამაზსა და წარმტაც სახეებს გადმოგიშლისთ იგი, მაგრამ ერთი ჰკითხეთ—რა მოსწონს მას, რა ატყვევებს? და ისიც ზოგადის სიტყვით გიპასუხებთ: „სილამაზე!“ მერმე? რამ წარმოშვა ეს გაურკვეველი, უსიცოცხლო და უსულო ცრიატი სილამაზე?

შეიძლება ეს მრავალთათვის გაურკვეველიც იყოს, მაგრამ კრიტიკოსს არ შეუძლია სხვაგვარად ახსნას იგი, თუ არა ინდივიდუალურის სიყვარულით. ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფერა გაჟღენთილია უხანობით, უმოქმედო ყოფით, ჰორიზონტი ღრუბლებით დაფარულია.. ჩვენ არ ვიცით საით მივყევართ ისტორიის მსვლელობას და მას „უკუღმართს“ ვუწოდებთ. აღარ არის ერთი, ზოგადი შემაკავშირებელი, ნათელი იდეალი, რომელიც ყველა ჩვენგანს ცხოველ მზედ ესახებოდეს და ჩვენს ნაბიჯს მტკიცედ მართავდეს.

მაგრამ ცოცხალი სული მუდამ მოძრაობას ეძიებს და იგი სიყვარულის ალში აცხრობს თვის ვნებიან წყურვილს.

ამიტომ იგი სული მარტო სატრფოს მშვენებას უგალობს ჰიმნს და რაღაც განსაკუთრებულის განსხვავებულის ენით, ინდივიდუალურის ფორმით. სიყვარული არასოდეს არ მსჯელობს, მასში ლოღიკა არ მოიპოვება და მისი დასაბუთებაც შეუძლებელია. არც ერთი ჩვენი მგოსანი ამნაირად არ მსჯელობს, მას შინაგანი ხმა ატყუილებს ლამაზის ილიუზიებით, რომ სატრფოსათვის მისი სახეები ღია და ნათელია; რომ მისი წერტილები მრავალმეტყველია, ვით მდუმარება, თვალებით ლაპარაკის დროს.

იგი არ სცდილობს სახეების გახსნას და ამით ხშირად სატრფოსაც კი საინტრიგოდ იწვევს. იგი გეუბნებათ მშვენიერის ენით რაღაც საიდუმლო ბარათზე, სატრფოს ჩურჩულზე, მის ქინძისთავზე და თქვენც ამ მშვენიერებას გრძნობთ, მაგრამ არა გესმით რა. ამიტომ ასეთ შემოქმედებას სიმბოლიურს უწოდებთ და, რამდენიმედ დაკმაყოფილებული, წიგნს ხურავთ.

მაგრამ, ცხადია, ყოველი სიმბოლო უნდა რეალურის სახით გაშალოთ, თუ იგი ჭეშმარი-

ტებაა თქვენთვისაც... აქ კი ამ გაშლაში უძლური ხართ. რის მომასწავებელია ყველა ეს?

მარტოოდენ უიდეობისა, რომელიც ჩვენში გამეფებულა. საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი და ინერტობა თავს აბეზრებს მგოსანს და ისიც ამ საზოგადოებისათვის აღარ აჟღერებს თავის ჩანგს. იგი გველაპარაკება ჩვენს ჭირ-ვარამზე, ჩვენის ფიქრებით და ჩვენის ენით.

აი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელიც გამეფებულა ჩვენს პოეზიაში.

აი, ერუ კედელი, რომელიც აღმართულა ხალხსა და მგოსანთა შორის დღეს.

მაგრამ ამ ხალხს, მკითხველს მაინც მოსწონს ასეთი შემოქმედება, იგი რაღაც გაურკვეველის, აღტაცებულის სიყვარულით იყრის მუხლს ამ უცხო სახეების წინაშე და გაიძახის: „რა მშვენიერობაა, რა წარმტაცი სილამაზეა!“

საინტერესოა ვიცოდეთ, რად ხდება ყველა ეს? პასუხი მარტო ერთია და ისიც ძველი: საზოგადოება გემოვნებით წინ მიდის, მისი ესთეტიური ალღო იმდება და ამ შემოქმედებაში იგი ინტუიციით ამჩნევს რაღაც უკვდავს, აუცილებელ თვისებას ჭეშმარიტ ხელოვნებისას.

იგი ხედავს ინდივიდუალურ სახეებს, გრძნობათა გამოთქმის თავისებურ სახეებს, რაიც ჭეშმარიტი თვისებაა სად სახელოვნო შემოქმედებისა. მას აღარ აკმაყოფილებს ზოგადი ფორმები, მობერებული სახეები: „გაშკაშა მთვარე, გიშრის თმები, ბროლის თითები, მზის სიცხოველე, ლერწამის ტანი“ და სხვ. იგი ახალ თვისებებს დაეძებს საგნებში და მას მარტო ისეთი შემოქმედება იტაცებს, რომელიც ჩვეულ საგანში ახალ მხარეს ორგინალურად ამოსჭრის.

მას უყვარს საგნის ახალ სულთა მოქანდაკე და ამ მხრივ იგი დღეის ლიტერატურაში აუარებელ მასალას ჰპოებს.

აი, სად არის ძირი მის გამოუცნობ აღმაფრენისა და მისტიურ სიყვარულისა.

მაგრამ აქვე იწყება მეორე მხარეც, რომელიც მომაკვდინებელია პოეზიისა, — მისი დამშრეტია. ეს არის ინდივიდუალიზმით გატაცება და უკ დურესობამდე მიღწევა.

იგი დღეს იმდენად განვითარდა, რომ მკითხველი მარტოოდენ გაოცებით ათვალიერებს სტრიქონებს და მხრებს იჩეჩს; ეძიებს ამ ახალ ფორმასთან ახალ აზრს, ახალ შინაარსს და, სამწუხაროდ, ვერავერს ჰპოებს შიგ. ამიტომ, გარეგნულად ცოცხალი და მკვირცხლი, შემოქმედება მისთვის სულიერად მკვდარი და უმოძრაოა.

* * *

ახლა, როდესაც ახალმა ლიტერატურამ კარგა დიდი გზა განვლო, ჩვენ უფრო დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რას გვიტოვებს იგი და რა გზით წავა მომავალში?

ცხადია, საზოგადოებრივი უმოქმედობა, ადრე თუ გვიან, გატყდება და მასში აქტიობა გამომჟღავნდება; მაშინ ხელოვანისათვის ადვილი გახდება ამ მსვლელობის ტენდენციების გამორკვევა და მისი გულიც კვლავ გამთელდება.

იგი ორგანიულად ესხეულება ამ საზოგადოებრივ ცოცხალ მსვლელობას და ჰორიზონტიც გაფართოვდება და განთლდება.

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ამ დროს ჰპოებს დღეის ხელოვნების ფორმა შესაფერ შინაარსს, მწერლობა ცხოვრებას დაუახლოვდება და ჩვენც განვიგრძნობთ იმ ჰარმონიას, რომელიც დამკვიდრდება ჩვენთვის ნათესავ, უნივერსალურ იდეებსა და უცხო, ინდივიდუალურ ფორმათა შორის.

ამრიგად, დღეის ხელოვნება, ქართული პოეზია თვის მიერ გამომუშავებულ ინდივიდუალ-ორიგინალურ ფორმას გადასცემს მომავალის იდეურ შემოქმედებას. ზოგადი ფორმულა განსხვავებულ სახეში და ამ განსხვავებათა დაურულებლობა-სილამაზე, — აი ის გზა, რომელსაც გაჰყვება საქართველოს პოეზია.

* * *

სილამაზეს დღესაც ვგრძნობთ ჩვენ, მაგრამ იგი სილამაზე მარტოოდენ ფორმით ამოიწურება, შიგ კი ქაოსია, იდეათა გაუგებრობა და არევა. და დღეის ხელოვნების ლამაზი სახეები გამჭვირვალეს ნაცვლად ცრიატი არიან. ლამაზ მინათა ჩამსხვრევებში ვერ ატანს მზის სხივები და მის გარდაღმა არა რა სჩანს. ამ ცრიატ სილამაზეს გარეგან სახეთა არევას გამრკვევი და გამჭვირვალე სხივი ეჭივრება და ახალი მწერალი, უეჭველია, მოსძებნის მას. მოგროვებული ენერგია ჩვენის ცხოვრებისა ბოლოს გადმოხეთქს თვალსაჩინოდ და ინდივიდუალურ სახეთა კრებულში ლამაზად აღიბეჭდება. დღეის ხელოვნება თვის მდიდარ, ორიგინალურ

ფორმას, უცხო სახეებს გარდასცემს მომავალს და, უკანასკნელის იდეურობით გამშვენებული, თვის უსიცოცხლო ცრიატოჩას დაჰკარგავს. აქ კი სიყვარულის საგანი ინდივიდუალურის სამოსლით მოვლენილი აღარ იქნება უცხო სხვათათვის და ჩვენს განახლებულ სულს კოსმოსს აზიარებს..

ამიტომ ნაადრევია იმ ურწმუნო თომათა გოდება, რომელთაც უნდათ გამოიტირონ დღეის პოეზია. მან მოგვცა დაუსრულებელი ფორმა მშვენიერებისა და სიყვარულის სახვისა.

ხოლო ამ ახალ ფორმას ახალი შინაარსი სჭირია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობამ უნდა შექმნას.

აქციეთ მგოსნის სატრფო ზოგად იდეად, გაშალეთ თქვენი პოტენციალური ძლიერება და ხელოვანის თვალებს ფარდა ჩამოშორდება მაშინ, შეუმცნებელ გატაცების ნაცვლად, განმტკიცდება ჭეშმარიტი სიყვარული და ნათლად წარმოდგენა იმ ფორმისა, რომელიც ატყვევებს დღეის მკითხველს. მაშინ უადგილო იქმნება კითხვა: „რად მოგწონთ ეგ მგოსანი. როგორ გესმისთ იგი?“—და თვით სიმბოლოთა წყება რეალურის სახით გადაგვეშლება.

აი რა რიგად მოკვდება სილამაზის დამსამარებელი ცრიატობა და რა რიგად ვიხილავთ ამ მშვენების ნათელ სახეს, რა ა ღადად ვუოთ: „ჭეშმარიტად, აღზდგა მკვდრეთით!“..

ალეკო ჭაჭავა

# ომი და ღმერთები

გავარდა თოფი, მას მოჰყვა ზარბაზნის გრიალი..აირია ბუზივით ჯარი, რომლის ფერხთა მტვერი ცას ღრუბლად გაეკრა .. ომის ამბავი ქვეყანას მოედო. და არამც თუ ქვეყნად მცხოვრებლებმა, ოლიმპიელმა ღმერთებმაც კი გაიგეს. ეს ასე მოხდა: ამ დილასაც ჩვეულებისამებრ, ღმერთი აპოლონი გამოვიდა მზის გასაპართავად, და რა მზე დედამიწას მიანათა, შეატყო, სხივნი ქვეყანას აღარ ანათებენ... ამან ძალიან გააკვირვა...

დაეშვა ქვეყნად მიზეზის გასაგებად. აქ შეიტყო ფრიად საგულისხმო, მაგრამ მასთანვე ძლიერ არა სასიამოვნო ამბავი ომისა. მოუნდა აპოლონს ჩაქრობა ომის ალისა, მაგრამ არ ეყო ძალა ამის ასასრულებლად. ის იუპიტრეს მარტო პოეტთა და ხელოვანთ უფროსად დაენიშნა და ახლაც აპოლონმა მათ მიჰმართა: სცადა აღემეტყველებინა პოეტი და აღეძრა ხელოვანი ომის წინააღმდეგ, მაგრამ, ამაოდ, პოეტი აპოლონის ზეშთაგონებას აღარ ემორჩილებოდა... მას აწუხებდა მაშინდელი ჰირვარამი:

— როგორ, კაცს სამშობლო ხელიდან ეცლებოდეს და ის კი ლექსთ წერას უნდებოდეს?! ამბობს პოეტი და ჯარში მეომრად ეწერება...

ასეთივე შეხედულებისაა ხელოვანიც... მისი ნახელოვნები მთლად შთანთქა ომის ალმა და ისიც სასოწარკვეთილი მეომრად მიდის. .

დაჰკარგა აპოლონმა ყოველივე ძალა ხალხზედა და მათივე მეოხებით მზეზედაც კი...

ეწყინა აპოლონს ასეთი ურჩობა ხალხისა და იმედ-გაცრუებული აღემართა ისევ ღმერთთა სადგომისკენ...მის მისვლამდი ღმერთებმა ომის არა იცოდენ-რა და რაკი აპოლონმა აუწყა, ქვეყნად ომიაო, ღმერთები სახტად დარჩნენ. ყველას უკმაყოფილების ხაზმა გაურბინა სახეზე, მაგრამ ყველაზე მეტად მარსი და აფროდიტე აღელდნენ. პირველი მისთვის, რომ ომი უმისოდ დაწყებულიყო და მეორე კი სწუხდა: ამ ომით სრულიად მოიშლება, ისედაც პატარა, სიყვარული და სათნოება კაცთა შორისო. დიდი ამბავი ტრიალებდა ოლიმპზე. ზოგნი ომის მომხრენი იყვნენ და ზოგნი კიდევ წინააღმდეგნი. ელოდებოდნენ იუპიტერის გადაწყვეტილებას და ჰა!.. იუპიტერმაც გაიხსნა წარბი და უბრძანა ღმერთებს ჩაეშალათ ომი და მის მაგიერად აღედგინათ ისევ მშვიდობიანობა კაცთა შორის. ბრძანება აღსრულდა..

ღმერთები დაეშვნენ დედამიწაზე, რომ რითაც შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ომს: აფროდიტე—კაცთა შორის სიყვარულის დამკვიდრებით; ჰერმესი—ვაჭრობისა და ათას

ნაირის გამოგონების მფარველობით; ჰეფესტე—მჭედლებისა და სხვა რკინის მომუშავეთა დაცვით; ათინა—სიბრძნისა და ხელოვნების აღორძინებით და ბევრი სხვა ღმერთიც თავ-თავის საქმის ასრულებით.

——

განიფანტნენ ღმერთნი ქვეყნად... აფროდიტე ტყუილად სცდილობდა მტერთ შერიგებას; ყველგან გინება ესმოდა და სიყვარულის ღმერთიც მათგან შორს იჭერდა თავს. ამ საქმის მოწადინე აფროდიტემ უკანასკნელ თვისი ხერხიც იხმარა: ერთ ერთ მტრის ქაბუკთ მოაწონა ქალწულნი მოპირდაპირე ეროვნებისა, მაგრამ... კაცის გული ცივია!.. გავარდა თუ არა მოპირდაპირეთ ბანაკიდან თოფ-ზარბაზანი, სრულიად დაავიწყდათ ქაბუკთ თავიანთი სატრფონი ..

და ისევ ხოცვა... ისევ ჟლეტა!..

ვერა გააწყო რა ნაზმა არსებამ ტლანქ ძალასთან და დაბრუნდა ისევ ოლიმპს.

ჰერმესმა მაშინვე სავაჭრო მოედნებს და სახლებს დაუწყო ძებნა, მაგრამ—ამაოდ... მისი ვაჭრები დიდი ხანია უბრალო მეომრობასა სწევდნენ. მაგრამ ამან ვერ წარუკვეთა სასო ჰერმესს. მას კიდევ დარჩენოდა ერთი გზა კაცობრიობის გამოხსნისა, ეს გზა მეცნიერულ გამოგონებისა. დიდხანს იფიქრა კერპღმერთმა, რა გამოეგონებინა ომის წინააღმდეგი და რა კი მიზანს ვერ მიაღწია, გაჯავრებულმა გადაწყვიტა სრულიად წაერთმია კაცისთვის ნიჭი სასწაულებრივ გამოგონებისა... მაგრამ კაცი ცბიერია. მან ჰერმესზე ადრე მოახერხა ჰაერში ფრენა და იქიდან უმანკოთა ჟლეტა... ჰერმესმაც უძლურად სცნო თავი და განშორდა ხალხს ..

მჭედელთ ღმერთმა ჰეფესტემ დიდ ხანს უგდო ყური მჭედლებს, რის მხარეს იჭერდნენ: ომისას თუ მშვიდობიანობისას და რა შეატყო, რომ მათაც დიდი ხანია გამოკვერილ-ჩამოსხმული აქვთ კაცთ სახოცი მანქანები, სცადა მათს წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ...

გატენილ ზარბაზნებთან მისვლა ვერ გაჰბედა, დამარცხებული გაბრუნდა შინ...

ქალ-ღმერთა ათინას არ ეგონა, თუ კაცი, რა გინდ გააფთრებული ჰყოფილიყო, მის ნახელოვნარს შებილწავდა, მაგრამ შესცდა: სიბრძნე, პიროვნება და ხელოვნება ფეხ-ქვეშ გასთელეს, და მათთან უძლური ათინაც ელტვის მათ ..

გაუხარდა ღვინისა და ზარხუშის ღმერთს ბახუსს ასეთი მდგომარეობა საქმისა:

— ყველა მეცნიერი ღმერთი კაცმა უარჰყო, არც ერთი არ მოიწონა. დროა მეც გავშალო ჩემი მძლავრი ხელები და ხალხის მტრობა და შური ღვინოში ჩავაღრჩო...

ამაოდ ეცადა ბახუსი ერთი წვეთი ღვინო მაინც ეშოვნა, მაგრამ წამლად ერთი საღვინე სარდაფიც ვერ ჰპოვა ღია. ცუდ გუნებაზე დადგა ლოთობის ღმერთი და იმედგაცრუებული ისიც განშორდა ქვეყანას...

...დანარჩენი ღმერთები, დარწმუნებული თვის უძლურებაში, იდგნენ და შეჰყურებდენ ომის სეირს. ჰერკულესმა და აქილესმა კიდეც მოინდომეს ომში ჩარევა, მაგრამ რა დაუპირდაპირეს თავის ღონე ახლანდელ შეიარაღებულ მეომარს, აღმოაჩინეს, რომ ყოველი ამ უკანასკნელთაგანი ძლიერი იყო მათზე ..საბრალო იყო მარსი, როცა გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებდა ამ ომს, გულით უნდოდა ამ ომის ალის ჩაქრობა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არ შეეძლო...

...ეს მას სტნჯავს, გულს უთუთქავს...

——

საღამოთი შეიყარნენ ღმერთნი ოლიმპზე, მოახსენეს იუპიტერს ყოველივე და რა აღნიშნეს თვის უძლურება უბრალო მომაკვდავთ წინაშე, დასძინეს, რომ ომი პირის-პირ აღარ არის და არამედ რამდენიმე დღის სავალზე ცეცხლის ფრქვევით სწარმოებსო. ამ ამბავმა დიდი აურზაური ასტეხა ოლიმპზე და ხალხთაგან დამარცხებულმა ღმერთებმა თვისი დამარცხება და მასთანვე ამოდენა სისხლის ღვრა საბრალო მიჯაჭვულს ამირანს დააბრალეს: „იმას რომ არ ეცნობებინა ხალხისთვის ცეცხლი, ახლა ამოდენა უბედურება არ დატრიალდებოდა ქვეყნადო!..“

...იქნება მართლა?!.

საბრალო ამირან! ნუ თუ შენც გიდევს ბრალი ამ საერთაშორისო ომში?!.

**გ. ჭალატყელი**

# ომში დაჭრილნი



ირ. თავ. არჩილ ბაგ-
რატიონ-დავითაშვილი



კაპ გიორგი თავაძე



პოდ. მოსე გობრონიძე

## საყვედური

(სურათი)

იგრგვინა, მაგრამ მეხმა კი არა,
იგრგვინა რისხვამ ზარბაზნისამ
და ცას ქოქოლა გადააყარა
ხმამ იმ მრისხანე საყვედურისამ.
ცამ წამოწინწკლა ღრინვა-დაცინვით,
მაგრამ ტყვიისა ჩამოდის წვეთი,
იელვა თოფმა და ჭექა-გრგვინვით
აივსო ფართე ცის ქვემოეთი.
ქარი არა ჰქრის და კაბადონზე
შავი ღრუბლები კი არა ალჩნდნენ—
მომღერალ თოფთა მკვეთრ მაყრიონზე
კვამლთა ნისლები იშვნენ და განქრნენ.
დაუშვა სეტყვა, სეტყვა ტყვიისა,
სიკვდილი შავ ფრთებს მიმოაქანებს
და სცვივათ მეხი შურისგებისა
რისხვით აღსავსე ჰაეროპლანებს.
ცა და ხმელეთი აღუდგნენ ურთი-ერთს,
წარღვნამ შესცვალა წინწკალი წვეთი
და მიეყუდა სიკვდილის გულმკერდს
ბრძოლით მოღლილი მზის ქვემოეთი.
მოვარდა ხევი და ნიაღვარი,
სისხლის ნაკადმა გადიკისკისა.
და გადაღარა ცეცხლით დამჭკნარი
მკერდი უწვდენის დედამიწისა ..

---

გათავდა... ცაში განქრნენ ჯანღები
ზარბაზანთ კვამლის და ფეხთა მტვრისა,
სიცოცხლე, წელან სისხლის ამღები,
პირქვე დაეცა და გაისრისა.
მოისმის კვნესა სხვა და სხვა გვარი:
„ვაი“ ქართველის, „ოხვრა“ რუსისა,
გაგიჟებული ფრანგის ხარხარი,
„ალაჰ“ ოსმალის და სხვის და სხვისა.



პოდ. თავ. გრ. ავალიშვილი



პოდეს. თავ. ნ. ამილახვარი
(მოკლული)



პოდ. ს. სტანიშევსკი

ხოლო ყველა ეს შეერთებული
ცად აღიგზნება საქვეყნო წყრომად,
რომ ღმერთს შესჩივლონ კაცთ ცოდო
ასაწონადა და გასაზომად... [წყლული

——

დიდის დიდებით მზე ამობრწყინდა,
დაჰხედა მკვდრებით მოფენილ სოფელს
და ააბრწყინა სისხლის ზღვა წმინდა,
და აუჩქარა ცრემლები მშობელს.
შედგა მოძღვარი მღლოცვზე ჯვარცმით,
დაჰხედა მსხვერპლსა ურიცხვ-მრავალსა
და, თითქო მათს სულს ასდევსო ტანჯვით,
ნელ-ნელ ასწია ცისაკენ თვალსა:
„ღმერთო, იხსენი და დაიფარე
სული მიცვლილთა და კაცთა მხარე“.

**დაჭრილი მეომარი**

მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი..
გადამარჩინეთ ჰე, ძმანო, ძმანო,
რომ სიცოცხლისა მწირ-გარეგანი
მზეს მივეგებო, კვლავ. ვეთაყვანო.

**მოძღვარი**

მე ვარ, მე, შვილო, ილოცე ღმერთი,
უკანასკნელად შეჰხედე ცასა.

**დაჭრილი მეომარი**

მიშველე რამე! ჰქმენ რამ ისეთი,
გადამირჩენდე შვილსა და ძმასა.

**მოძღვარი**

ილოცე ღმერთი, ილოცე ზეცა
და ის გიშველის, შვილო, ბედკრულსა.

**დაჭრილი მეომარი**

მიშველე რამე, გესმის, რომ მეცა
შენებრ სიცოცხლით ვაძგერდე გულსა.

**მოძღვარი**

ჰა, საიდუმლო. მიიღე წმინდა
სანამდე პირში გაქვს კიდევ სული;
აჰა, მიიღე, შვილო, თუ გინდა
იქმნე იმ ქვეყნად შეწყნარებული.

**დაჭრილი მეომარი**

გა-და-მარ-ჩი-ნე! გესმის თუ არა!
მე მსურს სიცოცხლე, უყურო მზესა,
ვეგდო, ვით ერთი ცრუ, მატყუარა
ტაძრის კარებში ბედნიერ დღესა.
მე მყავს მოძმენი, მყავს მამა, დედა,
მყავს გულის ტოლი და მეგობარი
და კიდევ მინდა მათ შემახედა—
სიცოცხლისაკენ გამიღეთ კარი!..




**ვასო აბაშიძე სხვა და სხვა როლში**
მისი ბენეფისის გამო „არტისტ. საზოგ თეატ-რში“ ოთხშაბათს 26 გიორგობისთვეს.

**მოღძვარი**

შვილო, ტყვია გაქვს გულის სიღრმეში
და აღარ გიძევს ცოცხლებში წილი,
ილოცე ღმერთი, თუ სამოთხეში
გსურს დაიმკვიდრო ცხოვრება ტკბილი.
ილოცე ღმერთი, სთქვი ლოცვა წრფელი,
იგია, შვილო, შენი დამხსნელი

**დაჭრილი მეომარი**

წყეულიმც იყავ ადამიანო
და წყეულ იყოს იგი ჟამიც მთლად,
როცა ღმერთს ეშვა საკაეშანო
ადამიანის გაჩენა ფიქრად!...

**ი. მჭედლიშვილი**

შიო-მღვიმის მონასტერი.

# სინათლე

## ნაწილი მეორე

(გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 36—37)

### მოქმედება მეორე

### სურათი მესამე

მიყრუებული ადგილი. ერთს მხარეს ძველი, ნახევრად დაქცეული წისქვილი; ჩანჩქრები, გარშემო დაბურული ტყე; წისქვილის უკან მაღლობი... ელვა ქუხილი. შორიდან ხმაურობა მოისმის...

**პირველი გლეხი** (გამოჩნდება ტყიდან, მობრუნდება და ეძახის) აქედ, აქედ წამოდით... ბილიკზე ნელა ჩამოდით... ხრამებია... (მივა და აკაკუნებს წისქვილის კარს) ბიძია ეი ბებერო .. ჩქარა გააღე! გძინავს თუ როგორაა საქმე?. .

**მეწისქვილე** (კარს გააღებს, მოხუცებულია) რა იყო, ადამიანო? ვინა ხარ, რა გინდა?.. აქ რამ მოგიყვანა?..

**პირ. გლეხი**. ბიძია, ჩვენები მოდიან... ბევრნი ვართ... ფეხდაფეხ მდევარი მოგვდევს... თუ ჩაგვიგდეს ხელში, სულ ამოგვჟლეტენ... უნდა შეგვინახო... (გამოდიან გლეხები, მოჰყავთ არსენა და საბედო. გადაიდარა და მზე გამოჩნდა. მოხუცი გარედ გამოვიდა)

**მეწის**. ე რამდენი ხალხია... რა ამბავია?.. მტერი დაგეცათ თუ როგორ არი?.. აქ ადამიანი ძნელად თუ გაივლის და თქვენ რა დაგემართათ?.. (მიუახლოვდება არსენას) რა კაი ბალღია. .

**მეორე გლეხი**. მოხუცო, ჩქარა .. ეს ბალღი და ქალი უნდა შეგვინახო .. სადაც არის მდევარი გამოჩნდება .. გზა კი აუბნიეთ, იქნებ ვერ მოგვაგნოს. .

**ყველანი**. ჩქარა, ჩქარა... დამალეთ ბალღი და ქალი...

**მეწისქ**. გამაგებინეთ რაშია საქმე? .

**პირ. გლეხ**. ბალღი და ქალი დამალე და გეტყვი რაშიცაა საქმე ..

**მეწისქ**. მაგათ დავმალავ. . ისე დავმალავ, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებს... წამოდი, ბალღო, წამოდი შენც ტურფავ! (შეიყვანს წისქვილში, მაღლობზე გამოჩნდება მესამე გლეხი)

**მესამე გლეხი**. ხალხნო, გვეშველა... მდევარს გზა აერია... მარჯვნივ აუხვია და ახლა ბევრიც რომ იხეტიალოს, აქედ ველარა გზით ვერ მოხვდება... შავ მდინარეზე რომ ხიდია, ისიც ნიავლვარმა წალეკა და იმათ ფონი კი არ იციან...

**მეორ. გლეხი**. უფ, მადლობა ღმერთს... ჰეი რა ხიფათს გადავრჩით! (გამოდის მეწისქვილე)

**მეწის**. სანაძლეოდ ჩემს დანგრეულს წისქვილს დავდებ, თუ იმათ იპოვნის ვინმე... ძაან დაქანცულან კია...

**პირვ. გლეხი**. ახლა, ბიძია, შიში აღარ არის... ველარ მოგვაგნებენ, გზა აერიათ... მაგრამ გაფრთხილება კი მაინც გვჭირია .. ე ბალღი მთელი ხალხის სული და გულია, მაგას შევხარით, მაგით ვცოცხლობთ .. ეგაა ჩვენი იმედი... დიდიან პატარიანად ამოვწყდებით, და მაგას კი ვერ დავთმობთ... უბედური მამა მაგისი ჩვენი ბელადი და წინამძღოლი იყო .. ხალხს შესწირა თავი... უფრთხილდი ბიძია... შენც ხომ ჩვენი ხარ .. ოჯახი ამოგიწყვიტეს, გაგაძევეს...

**მეწისქ**. გამაძევეს, ოჯახი ამომიგდეს... მაგრამ ახლოვდება დრო შურის ძიებისა... შორსა ვარ თქვენზე, მაგრამ ბრძოლის ზუზუნი მაინც მომესმის... ჰაერი დ მძიმდა...

**მეორ გლ**. ჰო, და ბიძია, ჩვენც მანდა ვართ.,. ხომ იცი ჩვენი მხსნელი ოქროს შანდალია...

**მეწისქ**. გავიგე, შევიტყე, მისი ხელთ ჩავდება გაგეძრახათ... მაგრამ რას გახდებოდით... ბედშავნო, დაგავიწყდათ, რომ მაგ შანდალს დაიხსნის მხოლოდ ის, ვინც სინათლის ქვეყნიდან მოვა!..

**მეორ. გლ**. ჩვენც მანდა ვართ, ბიძია... მაგიტომ უფრთხილდებით ბალღს... მაგის დაბადების დღეს სინათლის ქვეყნის სიმღერა ისმოდა, მკითხავმაც მაგაზე მიგვითითა — ეგ მიაღწევს სინათლის ქვეყანასო...

**მეწისქ**. ოჰ, გმადლობ შენ, უფალო... მაშ ეგ ის ბალღია?.. გამიგონია, გამიგონია!..

**მეორ. გლ.** მაგ ბალღის მამა და ქალის ქმარი გუშინ ჩამოაღრჩეს, თან გააყოლეს ქალის ძმა, მეორე ჩვენი ბელადი... ახლა, ბიძია, შენ ხელშია ჩვენი სული, გული და მომავალი.. გაუფრთხილდი...

**მეწისქ.** ნუ გეშინის... გეუბნები მთელი ეს ადგილი სამ ადლზე რომ გადააბრუნონ, მაინც ვერას იპოვნიან... *(მაღლობიდან გადმოდგება მესამე გლეხი)*

**მესამე გლ.** ხალხო, არიქა თავს უშველეთ.. მდევარი უკან დაბრუნდა, ახლა ჩვენს კვალს მოსდევს, აგერ შავ წყალში შემოტოპეს, მოსცურავენ.. ზოგი წყალმა წაიღო, მაგრამ მეტი ნაწილი მაინც გამოღმა გამოვიდა... ვიღაცა ჩვენგანი ფონს ასწავლის...

**ყველანი.** იუდა, მოღალატე, იუდაა... *(ჩოჩქოლი, ხალხში არეულობა)*

**მეწისქ.** *(უჩვენებს მარჯვნივ)* აქედ, აქედ... აი იმ მაყვლიანს გასცდებით თუ არა, კლდეში დიდი ხვრელია, ხვრელს გაჰყევით და თავს უშველით, ვერ მოგაგნებენ! *(ხალხი მირბის. იქითკენ გავლენ)*

**მეწისქ.** *(დიდ ხანს თვალს გაადევნებს გაქცეულებს. მერმე წისქვილის კართან ჩამოჯდება. მოისმის მარცხნივ ხმაურობა, იარაღის ჩხარა ჩხური. გამოჩნდება გლეხი ჯაშუში, თან მოსდევენ ავთანდილის მეომარნი)*

**ჯაშუში.** აი, აქა ყოფილან, მათი ნავალი კარგად სჩანს..

**პირვ. რაზ. უფ.** აბა, ბებერო, რა იქნენ ის ავაზაკები?

**მეწისქ** ავაზაკები? მე ავაზაკები არ მინახავს...

**პირ. რაზ. უფ.** შენ ეი, ბებრუხუნავ, მაგეებს თავი დაანებე, თორემ მსწრაფლ ჩაგაძაღლებ... სთქვი, ის ხალხი რა იქნა? თან ბალღი და ქალი ჰყავდათ..

**მეწისქ** ხალხი?.. ხალხი წავიდა..

**პით. რაზმ. უფ.** სად წავიდა?

**მეწის** მე ეგ არ მიკითხამ და არც იმათ უთქვამთ... წავიდნენ და ალბად ადგილზე მივლენ...

**მეომარნი.** ნუ გვაბრაზებ, ხეირიანად ილაპარაკე, თორემ შენ ბებერ ძვლებს მათრახი ააჟღარუნებს...

**ჯაშ.** დიდი ეშმაკია ეგ ბებერი ძაღლი, მაგას ყოველისფერი ეცოდინება...

**მეწის.** ერთი რამ კი კარგად ვიცი: მე არასოდეს სვინდისი ოქროზე არ გამიცვლია, არავისთვის მიღალატნია...

**ჯაშ.** *(გაიწევს მისკენ)* აი შე ქოფაკო, რასა როშავ?..

**რაზ. უფ.** დაიცა, ბიჭო, დაანებე თავი... იყბედოს, მაგით ვის რას დააკლებს... აბა ეს მითხარ, ბებერო, ბალღი და ქალი თან წაიყვანეს?..

**მეწის.** ბალღი და ქალი მარადის მასთან იქნებიან... ყველა მათგანს გულის ერთს უბეში ბალღი უზის და მეორეში ქალი... თუ გულს ამოჰგლეჯ, ბალღსაც და ქალსაც ხელთ ჩაიგდებ... ყველას კი უნდა ამოჰგლიჯო გული, თორემ თუ ერთს მაინც გული შერჩა, ბალღი და ქალი გადარჩებიან ..

**მეომარნი.** რას როშავს ეს ბებერი? ვგონებ ჭკვაზე შერყეულია .. როგორცა სჩანს ბალღი და ქალი თან წაუყვანიათ.. რაღას ვაყოვნებთ, დავედევნოთ, თორემ დრო მიდის...

**ჯაშ.** მოიცათ პატარა .. ამ ბებერი ძაღლისა ცოტა ეჭვი მაქვს... ერთი წისქვილი დავათვალიეროთ.

**მეწისქ.** მანდ შენს მოძმეს ვირთაგვებს თუ ნახავ, თორემ სხვას კი ვერავის..

**პირ. რაზ. უფ.** ბევრნი იყვნენ ბებერო?

**მეწის.** არ დამითვლია შენი ჭირიმე..

**მეომარნი.** მაინც ისე სათვალავში?..

**მეწის.** თვალი აღარ მიჭრის შენი ჭირიმე... ვერ მოგატყუებ... *(გამოვა ჯაშუში)*

**ჯაშ.** არავინა სჩანს .. აბა წავიდეთ... *(მეომრები მაყვლიანისკენ გასწევენ)* მანდეთ ნუ, მანდეთ ვერ გახვალთ, აქედ, მარცხნივ... *(მეომრები მარცხნივ წავლენ. გლეხი მივა ახლოს მეწისქვილესთან)* შენ ეი, ბებერო, დაიხსომე კარგად. .. მე არა ვთქვი რა ., ბალღი და ქალი აქ არიან... თვალით ვერ ვნახე, მაგრამ სუნით კი ვიგრძენი .. ი ხალხიც მაყვლიანზე წავიდა... გახსოვდეს ესა და სინდისზე მერმე ვილაპარაკოთ... *(გავა)*

**მეწის.** დიდება შენ უფალო!.. ძლიერი ყოფილა ხალხის სული .. *(შევა წისქვილში. ცოტა ხანს სცენა ცარიელია, მერმე გამოდის მეწისქვილე და გამოჰყავს საბედო და არსენა, თან მოაქვს ძველი ხალი და მუთაქა)* აქ მოდით, აქა... ახლა ნურაფრისა გეშინიათ..

მგლის ხროვა გაქრა, ვეღარ მოგწვდებიან.. შიგნით ნოტიოა... ნოტიოსაგან ფეხები სულ დასიებული მაქვს .. აი, აქ მზეზე გაგიშლით ხალს, დასხედით... მოისვენეთ, დაქანცულები ხართ... ხუმრობა გზა კი არ გამოგივლიათ... (შლის ხალს და მუთაქას დასდებს) წამოწექით.. ცოტა მაინც ჩაიძინოს ბალღმა, ცოდვაა..· ე მანდ ახლოს მუხაში ფუტკარი მყავს... გავივლი და ახალს უცეცხლო თაფლს მოგიტანთ·.. გამიგონე კია, ჩემო ლამაზო: თუ ქოტის ხმა მოგესმას, უმალ სტაცე ხელი ბალღს და იქვე დაიმალეთ, სადაც მე გიჩვენე...

**საბედო**. პაპია, მეშინის... მარტოკა როგორ დავრჩე... მე კიდევ ჯანაბას, ჩემთვის რაღა სიცოცხლეა, მაგრამ ბალღი არამ თუ ჩემი, მთელი ხალხის პირმშო შვილია .. ამას რომ დაემართოს რამე, საიქიოსაც კი ვერ მოვისვენებ...

**მეწისქვ**. ფიქრი ნუ გაქვს ჩემო კარგო... ეგ ბალღი ჩემთვისაც არა ნაკლებ ძვირფასია... მე აქვე შორი ახლოს ვიქნები... ოხუცი ვარ, მაგრამ ისე შევეჩვიე ჩვენ ტყეს, ისე შევისწავლე, რომ ტყის ყოველ ხმაურობას უმალ გავიგებ... ჭიანჭველის სიარულის ხმაც კი არ გამომეპარება.. ნუ გეშინის, შენც წამოწექი, ცოტას მაინც ჩასთვლიმე... თვალი მოატყუე... (გავა. საბედო ბავშვის გვერდით მიწვება და დაეძინება. წყნარი მუსიკა. ერთის მხრიდან გამოჩნდება პირიმზე, ხელს უქნევს და ეძახის)

**პირიმზე**. აქედ, ფერიებო, აქედ...

(აქედ იქიდან გამოცვივდებიან ჭოგარია, ბროლოსახე, წკრიალა, ანკარა და ნათელა. გარს შემოერტყმიან და უვლიან საბედოს და არსენას)

**ფერიები** (მღერიან) იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო... და სხ.

**პირიმზე** ფერიებო, ეს ის ბალღია, სხივოსანი რომ გვეუბნებოდა, აქ მომგვარეთო... მოუნიავეთ ლეჩაქები, მაგრად დაეძინოს დედას და ბავშვი წავიყვანოთ.. (უნიავებენ, მღერიან „იავ ნანას“ და შემდეგ მიჰყავთ მძინარე არსენა, გავლენ. ნაზი მუსიკა)

**საბედო**. (იღვიძებს) რა მშვენივრად მღერიან... თითქოს ანგელოსთა გუნდიაო... მომესიზმრა... ვაიმე! არსენა? (წამოხტება, ეცემა აქედ იქიდ, შეჰკივლებს) მიშველეთ, მიშველეთ... პაპია, პაპია!.. (შემორბის მეწისქვილე)

**მეწისქვ**. რა იყო, ქალო, რა დაგემართა?

**საბედო** (მუხლებზე დაეცემა) დავიღუპე, მიშველე!.. მთელს ჩემს სიცოცხლეს შემოგწირავ .. ბავშვი, ბავშვი!.. დავკარგე .. მე უბედურს, ღვთისგან დაწყევლილს ჩამეძინა... გავიღვიძე და ბალღი ჩემს ახლოს აღარ იყო. ვაიმე, ჩემო შვილო, რა პასუხი უნდა გავსცე? მთელმა ხალხმა თვისი იმედი და ნუგეში მე მომანდო და აი... ვაიმე, მიშველეთ! (წივის და ჰკივის)

**მეწისქვ**. მოიცა, შვილო...დამშვიდდი.. ვიპოვით ბალღსა .. შორს ვერსად წავიდოდა...

**ფ ა რ დ ა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ი. [illegible]

# ქართული სახიობა

**ქართ. დრამ. დასის ამხ ანაზოვის წარმოდგენა** სახალხო სახლში 17 გიორგობისთვეს მ. ქორელის რეჟისორობით მჭევრმეტყველურად ღაღადებს ახალგაზდა დასის შემოქმედობითი ნიჭიერებასა და მაღალ მხატვრულ გემოვნებას. მართალია, დაიწვა ქართული თეატრის შენობა-დარბაზი, მაგრამ სცოცხლობს ქართული სასცენო ხელოვნების სული და 25 ენკენისთვეს ცეცხლით განწმენდილი უკვე აღორძინების გზას შეუდგა. ურწმუნო თომანიც კი დარწმუნდენ, რომ ქართულადაც შეიძლება მხატვრულად მოეწყოს წარმოდგენები. საამისო ძალნიც მოგვეპოება, და თუ რაიმე მანქანებით ახალგაზდა დასის მუშაობა შესწყდა— ამაში დამნაშავე იქნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საზოგადოება, —ის, ვისაც შეუძლიან ნივთიერი მსხვერპლი გაიღოს, რომ ახალგაზდა დასს საშუალება მიეცეს და დაწყებული გზით განაგრძოს მუშაობა.

ხსენებული წარმოდგენის მთელის ღირსების სავსებით გადმოსაცემად სიტყვები არ გვყოფნის და, მგონი, შეუძლებელიც არის: მაღალ-ხელოვნური შემოქმედება, სურათი, კაცმა თვისი თვალით უნდა ნახოს, საკუთარი ყურით მოისმინოს, რომ მისი ღირსება სავსებით განიცადოს. დასის უმთავრესი ღირსება —შეთანხმებული თამაში და თვით უწვრილმანეს სურათ-ხატებათა სისწორით განსახიერებაც-კი უაღრესად

დამთავრებული იყო და ნიჭიერ ხელოვან ოსტატის ხელით — გამოქანდაკებული. პიესის აზრი მაინც და მაინც ახალი არაა. უნებლიეთი დანაშაულობა— კაცის მოკვლა, რაშიაც მკვლელი კი არა, თვით მოკლულია დამნაშავე, „დამნაშავის“ პასუხის გებაში მიცემა, ციხეში ჯდომა, საზოგადოებისაგან გარისხვა, ვითარცა კაცის მკვლელის, ახალგაზდა ქალის შეცდენა თავგასულ „ყოჩისაგან“ და მერე მიტოვება შვილ-შეძენილ ქალიდა, რომელიც „საზოგადოების“ ცრუმორწმუნე, ვითომ არა ზნეობრივ კანონების წინაშე ჰკრთება და მუდმივ ტანჯვაშია, ცხოვრების გზაზე ფეხ წაბორძიკებულთა „კაცად ქცევა“, სწორე გზაზე დაყენება, როდესაც ადამიანთა კეთილისმყოფელნი ამისთანა გზა აბნეულთ ადამიანურად, ნდობით ეპყრობიან... დიაღ, ყოველივე ეს უკვე ცნობილია, და პიესაც საიმისოს არას წარმოადგენს, მაგრამ იმ ღამეს მსახიობთ თვისის თამაშით ისე მოაჯადოევს მთელი საზოგადოება, რომ პიესამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. გარეგანის მხრით პიესა შედარებით კარგა იყო დადგმული: გრიმები, უმეტესად, ტიპიური, სიცილი, მიმოხვრა, მუნჯი სცენები — ბუნებრივი, სრულ ქმნილი და მხატვრული. მსახიობთა შორის— თითქო ყველა ერთი მეორეს ეჯიბრებოდა საუკეთესო აღსრულებას. ალ. იმედაშვილი (უნებლიეთი მკვლელი— იაკობ ბიგლერი) და ი. ზარდალიშვილი (გეტლინგი, ქვის მთლელი) მეტად მშვენიერნი, შეიძლება ითქვას უბადლო იყვნენ, განსაკუთრებით მესამე მოქმედების ბოლო სურათში, მაშინ, როდესაც შეურაცხყოფილ ქალს გამოესარჩლება იაკობ ბიგლერი და ყოყლოჩინა გეტლინგს შეუტევს, — ეს სცენა დიდის ხელოვნებით აღასრულა ორივე მსახიობმა. ვ. არაბიძე —(ვიხგველცი, ღამის დარაჯი) და ალ. ყალაბეგიშვილი (სტრუვე ქარხნის მუშა) გასაოცარი იყვნენ, ხმით, გრიმით მიმოხვრით, ყოველი გამოხედვით, ბუნებრივი თამაშით... პ. კორიშელი (ცარნკე, ქვის მთლელი) ცოტა თითქოს მოიცუნცრუკებდა, მაგრამ ვგონებთ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ცარნკე, როგორც პ. კორიშელმა განასახიერა: გულფიცხი და არა ბოროტი, გულშემატკივარი და თითქო სასტიკი, გზა შემცდართა ჭეშმარიტი მფარველი და არა ფარისეველი... შეიძლება მსახიობს არ ღაეთანხმოთ, ასეთი ხატება რომ გვიჩვენა, მაგრამ თავიდან ბოლომდე რომ სრული ხატება შეჰქმნა, ეს-კი მართალია. კარგები იყვნენ პიერეტა (ფრაუ ხომაიერი), ეს ტიპიური ფარისეველი ჭორიკონა მოსამსახურე, ა. შოთაძე მარი) და ა. ქიქოძე (ლორა), რომელმაც გარეგნულად სრულის სინამდვილით წარმოგვიდგინა გაუბედურებული ნამუსახდილ -მიტოვებული ქალის ხატება, მაგრამ თითქო შინაგანი განცდა აკლდა და ეტყობოდა, რომ მხოლოდ სთამაშობდა. ტიპიური მუშები იყვნენ ა. შანშიაშვილი (ლომან), — მ. სარაული (შპრენგელ), მ. ჭიაურელი, მ. ფრონისპირელი (ვილლიხ და ერთიც მაღალმაღალი მუშა. მ. ჭიაურელმა (მესამე მოქმედება, მუშებში) კიდევ ერთხელ ნათელ ჰყო, რომ შეიძლება უსიტყვო როლიც თვალ საჩინოდ შეასრულო.

სალიანგო სცენები საუცხოვო, დეკორაციები— შესაფერი. პიესა მეტად კარგად იყო მომზადებული, აშკარად სჩანდა რეჟისორის (მ. ქორელის) ხელი და მსახიობთა მეცადინეობა

თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. იყო „საზოგადოებაც“, დრ. გამგეობის მხრით კი... არავინ. წარმოდგენა $12^{1}/_{4}$ საათ. გათავდა. სასურველია ეს პიესა კიდევ დაიდგას მსახიობთა იმავე შემადგენლობით.

**„სოფლის ექიმი“ და „ხანუმა“** მ. ქორელისა და ა. წუწუნავას რეჟისორობით სახ. სახ. ქართ. მსახ. ამხანაგობამ 19 გიორგ. გვარიანად წარმოადგინა. პირველმა პიესამ ალ. იმედაშვილის (ექიმი ბრიუნე), ნ. ჩხეიძის (ქ-ნი ბრიუნე), ეფ. მესხის (მარიამი, მოხუცი მოსამსახურე) და სხვა მსახიობთა მონაწილეობით კარგად ჩაიარა. საუცხოვო იყო ნ. ჩხეიძე. ა. ცაგარლის უკვდავმა „ხანუმამ“ თვისი მარილიანობით დიდად დაატკბო საზოგადოება. ვასო აბაშიძის (აკოფა), ელ. ჩერქეზიშვილის (ხანუმა), — ცოტა კი ამლაშებდა, ა. ყალაბეგიშვილის (თ-დი ვანო ფანტიაშვილი) და გ. ფრონისპირელის (ტიმოთე) შეთანხმებულმა თამაშმა ფრიად ასიამოვნა დამსწრენი. განსაკუთრებით ბუნებრივად ასრულებდა გ. ფრონისპირელი ტიმოთეს როლს. კარგი ქაბატუა იყო ი. ბეჟანიშვილი, განსაკუთრებით დასაწყისში, პ. კორიშელი (მიკიჩა) და ა. შოთაძე (სონა).

ხალხი დიდძალი დაესწრო. მოქმედების დაწყებისთანავე პარტერში კარები დაკეტეს, მაგრამ სამაგიეროდ ქანდარაზე ღია იყო კარები, სადაც დიდი უწესობა სუფევდა. თუ დასაკეტია— ყველა კარი უნდა დაიკეტოს, თორემ... ქანდარამ რაღა დააშავა? წარმოდგენა გათავდა ღამის 11 ს.

**წინამძღვარ—ი**

**ქუთაისის თეატრი.** ხუთშაბათს, 30 ღვინობისთვეს, ქართულმა დასმა წარმოადგინა ვ. შალიკაშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა, „გადაჭრილი მუხა“. ამ პიესას ქართველი საზოგადოება თბილისიდან იცნობს, სადაც ადგილობრივი ქართული გაზეთების რეცენზიებში მაინც და მაინც ქებით არ იყო მოხსენებული. მართალია პიესა დიდი ღირებულების მატარებელი არაა, მართალია პუბლიცისტიკას და ზოგიერთ ყალბ პასაჟებს აქვს ადგილი ამ ნაწარმოებში, მაგრამ ავტორის ღრმა დაკვირვება, ჩვენი ცხოვრების ასავალდასავლის ცოდნა, თეატრალური ეფექტები და სცენის ტეხნიკა, არ იყო ღარიბი. ეს აჩედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ავტორი, იმის გარდა რომ ის დამწერია ამ პიესის, მსახიობიც არის და არც ისე პატარა მსახიობი ჩვენს სცენაზე. ცალმხრივობა უსათუოდ ეტყობა პიესას და ეს ცალმხრივობა ვერ მოსპო იმ გარემოებამაც, რომ ნიკოსთან ერთად (ლ. მესხიშვილი) გოლაც (გ. შალიკაშვილი) და ცაცაც (ბ. მგალობლიშვილი) გამოუყვანია ავტორს. შემდეგ გადაჭარბებულია ზოგიერთი ადგილი, რომელიც უმჯობესი იქნება შესწორდებოდეს.

რაც შეეხება მოთამაშეებს, თითქმის ყველა თავის ალაგას იყო. თუმცა ბ. მესხიშვილის როლი არ არის ნიკოს როლი. ბევრი ეცადა იგი რამე შეექმნა აქედან, მაგრამ ვერ შესძლო. ვერ შესძლო იმიტომ, რომ ნიკო არც რეალური პიროვნებაა და არც იდეალური. ის უსიცოცხლო ადამიანია და ამიტომაც უფერული იყო. გოლა (შალიკაშვილი) ხომ სულ წყალწაღებული ადამიანია: უმწეო, უთვითნებო, სუსტი, ხარმაცი. ბ. შალიკაშვილი, ასეთ ტიპის მაგიერ, უფრო სახუმროდ ხდიდა მას. ცაცა (მგალობლიშვილი) ცხოვრების ალღოს ამღები, როგორც თითონ ამბობდა ცხოვრების თვალების პირდაპირ მაცქერალ და არა გატაცებული ფუჭი ოცნებით, ან და ჩვენებურად გაიძვერა, მგალობლიშვილმა კარგად შეასრულა. კატოს (დავითაშვილისა) როლის ამსრულებლად შეცდომით გამოვიდა ჩვენი მსახიობქალი. ასეთი როლები მისი ამპლუისა არაა. ქ. მდივანი თავის უფერულს როლს (ნინო) რამდენადაც შეიძლებოდა კარგად ასრულებდა. გიგლა (ბ. იმხნელი) საუცხოვო მუშაკის როლში ჩავარდნილიყო და ავტორი კმაყოფილი უნდა იყოს ბ. იმხნელის გიგლათი. ქ. ტასო (გლეხის ბიჭი) ბ. გუნია (თ-დი დავითი და მერე ნიკიტა მეეზოვე) შეუდარებლად თამაშობდენ. განსაკუთრებით ის სცენა, სადაც ტასო ლექსს კითხულობს, სრულ ილიუზიას ქმნიდა.

დანარჩენებს არც ისე მძიმე როლი ქონდათ, რომ ვერ მორეოდენ და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ყველამ დაგვაკმაყოფილა. მასიური სცენები ძლიერ ცოცხლად ჩაატარეს.

შაბათს დადგმული „გაუბედურებული ოჯახი“-ს შესახებ არას 'ვიტყვი დაწვრილებით. მხოლოდ უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი დასი ამ პიესით მოვალეობას ასრულებს. შაბათს უნდა დადგმულიყო პიესა და დასდგეს. სხვათა შორის მეორედ იდგმის და ხალხიც ესწრება.

კვირას კი, ორ ნოემბერს „ანტიგონე„ ვნახეთ. ამ წარმოდგენამ სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა და განსაკუთრებით კი კრეონის ამსრულებელმა ბ. იმხნელმა. მან სავსებით ვერ სძლია ეს როლი და „ღმერთების წყევლისაგან“ სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი მეფის სულიერი ტანჯვა ვერ გადმოგვცა. მარტო სიტყვა რომ ყოფილიყო ამისათვის საჭირო, ჰო, კიდევ შეურიგდებოდა ადამიანი, მაგრამ სიტყვას, როცა სახე არ უპასუხებს, როცა მწუხარება მარტო თვალების ხუჭვით და ხელების მტვრევით იხატება, ეს ვერ სტოვებს შესაფერ შთაბეჭდილებას.

იშვიათი ანტიგონე იყო ქ. დავითაშვილი. ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა ააშკარავებდა ანტიგონეს სახეს, მის სიმტკიცეს, უშიშობას და თან ქალურ სინაზეს, ახალგაზდა სიცოცხლის უდროოდ დაღუპვის სინანულს. ქ. მდივანს (ისმენას როლში,) ქ. ჯავახიშვილის (ევრიდიკას) არა უშავდათ რა. საერთო ჰარმონიის შექმნას უცილობელ ხელს უწყობდნენ.

დანარჩენებში ირჩეოდენ დ. მგალობლიშვილი (გემონი) და ვ. შალიკაშვილი (ტერეზი).

ხორომ პირნათლად შეასრულა თვისი მოვალეობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასმა პიესა კარგად ჩაატარა და რაც შეეძლო არ დაიშურა ამისათვის. მართალია ზოგიერთი რამ უხერხულობა იყო, როგორც მაგალითად ხორი ამბობს: მკვდარს შვილს მეფე თითონ უძღვისო და ყველაზე ბოლოს კი შემოდის; ან—ისმენას ცრემლები წყალსავით გადმოსდისო და ერთი წვეთიც არსად იყო. ან და სახური, როცა მეფეს ამცნობს ცოლის სიკვდილს, დოინჯ შემოყრილი დგას, თითქო დასაპატაჟებლად იყოს მოსული და მისი სახე ყველაფერს გამოსთქვამდა გარდა მწუხარებისა...

სამივე წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

L ami

**სახალხო სახლში** ქართ. სახლ. წარმ. მმართველი წრე დაუსვენებლივ მუშაობს და იქნება ესეც იყოს მიზეზი, რომ ზოგჯერ მის მიერ გამართული წარმოდგენა სავსებით ვერ აკმაყოფილებს მაყურებელთ. ზედმეტი მუშაობა ხელოვნების დარგში სარგებლობას ვერავის მოუტანს: ხელოვნებაში ხომ აღფრთოვანებაა საჭირო, ნაა ფიქრ-ნაფიქრის განცდა, გაგონილის შეთვისება-გადახარშვა და როცა ამის დრო არა აქვს ხელოვანს, იგი როგორ შესძლებს პირნათლად შეასრულოს თვისი მოვალეობა?! და კინც „ჭკვას ძალას ატანს“, აკი იგი მარცხდება კიდეც. გასულ სამშაბათს, 11 ნოემბერს, დადგმულმა იუშკევიჩის „მეფემ“, წრის სცენის მოყვარეთა მიერ აღსრულებით, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა: სცენის მოყვარე—მსახიობნი დიდის ტაატით ეწეოდენ ჭაპანს, თითქო მოღლილნი არიანო, და პიესის დასრულებისას ალბათ შვებით ამოისუნთქეს, რომ ტვირთი მოიშორეს, და ხალხმაც მადლობით —რომ წარმოდგენა დასრულდა. მონაწილეთა შორის ისევ კ. ხახანაშვილი (დავით გროსმანი) ირჩეოდა, მაგრამ ამის ნაკლიც—მუდმივი ნაკლი იყო, სახელდობრ: რა როლიც უნდა იკისროს, არც ხმას შეცვლის, არც კილოს. სხვაფრივ-კი ღირსეული გროსმანი იყო და როლიც კარგად ჰქონდა შეგნებულ შეთვისებული. ელ. ჩერქეზიშვილი (ეტელ) თითქო თავის ქერქში არ გრძნობდა თავს, ა. ჩირკაძე (ჟენია) გვგონია, ამ როლს უკეთ ითამაშებს: საამისოდ ყოველივე ხელს უწყობს—გარეგნობა, ხმა, მაგრამ... სავსებით ვერც იმან ისახელა თავი ამ საღამოს. კარგი იყო ბ.*** (მაშა), ლ. გოდერძის (პეტია) რომ ორივ მხრივ სარკეში ჩაეხედნა, იქნება არც კი

ეკისრნა ეს როლი: ეტყობა ლ. გოდერძი ნიჭიერი სცენის მოყვარეა, მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ ყველა ქალს არ შეუძლიან ვაჟის როლის შესრულება, ისიც გიმნაზიელისა, დ. ბაქრაძე (იაკობ) მხოლოდ დ. ბაქრაძე იყო და არა იაკობი, ა. მეტრეველი (ვაის მასწავლებელი) ნიჭიერი და სასარგებლო სცენის მოყვარეა, მაგრამ ერთფეროვანი რომ არ იყოს, უკეთესი იქნება. ნ. გოცირიძე (ერმ), ი. მინდიაშვილი (გერმან) და მ. რომანიშვილის (როზა) კარგები იყვნენ, ვიტყვით კი, რომ ნ. გოცირიძეს სახეზე ვეტყობოდა წამალი, და მინდიაშვილსაც უშნო ხელოვნური ჭაღარა. ლ. ბადაშვილს (მირონ) ალბად ვერ წარმოედგინა გამოღვიძებული, აღგზნებული მუშის სულის კვეთება და არც ის უნახავს, საქმის მშიერი კაცი როგორ სჭამს პურს. ლ. ბადაშვილის მირონი კი ნამცეცობდა. არც თავის ცანცარი გამოხატავს დრამატიზმს. სწორედ ასეთივე იყო ს. ტარუაშვილი, რომელმაც მშვენივრად შესრულებული თვისი როლი მხოლოდ იმითი ვერ განასახიერა სავსებით, რომ არ უნახავს მეჩექმე როგორ ჭლურსმავს ჩექმას? ს. ანკარა (ბეტი) ფრიად სასარგებლო სცენის მოყვარეა, მეტად მშრომელიც, მაგრამ ყველა როლს რომ ერთის ხმით, ერთის კილოთი, ერთის იერით არ ასახიერებდეს — სჯობია: ვეჭვობთ რომ მუშის, ბურჟუის, გლეხისა, თავადისა და სხ ქალები ერთმანეთს გავდენ. მ. გელიკურაშვილი ებრაელ ნახმახში შოი ომ ურებდა, მ. ქართველიშვილს (მარია) ეტყობოდა — უსუფლიოროდ ვერას იტყოდა, ბოლო სცენაში კი კარგი იყო. ქ. ნინიძეს (ალექსანდრე) სიტყვა არ შეშლია, მაგრამ ეს უფრო „ქალური" გიმნაზიელი იყო, ვიდრე იდეით გატაცებული მუშათა მესვეური, რ სალაყაია (სტეპან) — მაშინვე ჩიცანით, რომ სალაყაია იყო: ქუდა პარიკმა მაინც ვერ გარდასქმნა. მუშების როლების ამსრულებლები? — ურჩევთ ბ. რეჟისორს, უგრიმოდ არვინ გამოუშვას სცენაზე. და თუ მაინც და მაინც ეს აუცილებელია, მაშინ — ის მაინც შესძლოს, რომ მეორე მოქმედებაში მონაწილენი მესამე მოქმედების დასაწყისში პარტერში არ გამოუშვას, თორემ... რას ჰგავს?

**„გამცემი"** ი. გედევანიშვილისა, სახალხო სახლში, კვირას, 16 გიორგობისთვეს წარმოდგენილი, სახ. სახ. არს. ქართ სახ. წარმოდგენების მმართველ წრის წრევანდელი სეზონის გვირგვინი იყო, როგორც მშვენიერი პიესით, აგრეთვე მისი და გმა-ალსრულებით. ხალხს ჰსურს ჩაიხედოს თვისი ცხოვრების სარკეში, თვისი ავისა და კარგის ნახვა და ჩვენი სახალხო თეატრი რაც უფრო ადრე დაადგება ეროვნული (და არა ნაციონალისტური) რეპერტუარის წარმოებას, მით უფრო დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენის ხალხის გათვითცნობიერებას და ხალხისგანაც განუზომელ მადლობას დაიმსახურებს. ხსენებულ საღამოს პიესა სრულის ანსამბლით წარმოადგინეს. ზოგი ადგილი რომ ზეალმტაცი იყო. დამსახურებული მსახიობქალი ელ. ჩერქეზიშვილი თვის ბუნებრივ ქერქშა იყო და საუცხოვოდაც შეასრულა მარიკოს როლი, მას მხარს უმშვენებდა ა. შანშიაშვილი (შაქრო ჩვილიშვილი), რომელსაც ვ. მესხიშვილის დიდი გავლენა ეტყობა: არა თუ მიხვრა-მოხვრით არამედ ხმითაც კი სრულიად ბოლოხნის ვლ. მესხიშვილს მოგვაგონებდა. ურჩევთ საკუთარ გზით სიარულს შეუდგეს, ამით უფრო მოიგებს: საამისოდ ყოველივე ხელს უწყობს და სამწუხაროა, რომ ხშირად არ ვხედავთ ამ მსახიობს თვის შესაფერ როლებში. ა. მეტრეველი — ბუნებრივი ნამდვილი სიკო იყო. ვ. ნინიძე — კარგი გაევროპიელებული მებატონე თ. არჩილ დიდიძე, მაგრამ მეტი არისტოკრატიზმის გამოჩენა ერჩივნა. თ. ყიფშიძე (ელენე) და ბ. №№ (ნინა) დირსეულად უჭერდენ მხარს დანარჩენთ, ხოლო თ. ყიფშიძეს ხმის განვითარება-დამუშავება ეჭირვება. ელ. ციმაკურიძე ნამდვილი პროვინციული კნეინა იყო (დარია), ხოლო გ. სვანელი (ლევან) და ვ. რატიშვილი (მიხაკო) შესაფერი ამხანაგები. პიესა მხატვრულად იყო დადგმული, შეუფერებელი იყო მხოლოდ ელექტრონით გამჭირვალე შადრევანი და დაბნელება განათებაც მეტად სწრაფად ძოხდა სცენის-მოყვარენი-მსახიობნი ვაშა-ტაშის კვრაზე არ გამოვიდნენ. ესეც დიდი ნაბიჯია სათეატრო ხელოვნებისა.

წარმოდგენა $10^1/_0$ საათზე, გათავდა, რაც დიდ დირსებად უნდა ჩაეთვალოს წრეს· ამით სალხმა ძლიერ ისიამოვნა.

**უსავანო**

**ავლაბრის სახალხო თეატრში** გასულ კვირას, 16 გიორგ., წარმოდგენილ იქმნა „დალატი", ალ. სუმბათაშვილისა, — ეფ. მესხის (ზეინაბი), ვ. აბაშიძის (ბესო) ვ. არაბიძის (ყარაიუსუფი), ი. ივანიძის (ოთარ ბეგი), ი. ზარდალიშვილის (სულეიმან ხანი), პ. კორიშელის (საბა) და ალ. ყალაბეგიშვილის (ანანია) მონაწილეობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით. ამ პიესის წარმოდგენით ავლაბრის სახ. თეატრის გამგეობამ (ამ საღამოს მორიგი გამგე იყო კომერსანტი მ. აბაშიძე) სათვალჩინო ნაბიჯი გადადგა წინ, ერთი იმითი, რომ ჩვენი საყვარელი მსახიობნი ხალხს ალაგობრივ აჩვენა და მეორეც — ასეთი პიესა წარმოადგინა· აუარებელი სალხი, რომლის უმეტესობა იქნება პირველადაც იყო

თეატრში, და დამსახურებულ მსახიობთა სახალხო სცენაზე მონაწილეობა ერთის მხრით თუ სიამოვნებით გვივსებდა გულს, მეორეთი—გულს გვითანადრებდა, რომ ამ განაპირა უბანს ჯერ კიდევ არა აქვს ბლომი და მოხერხებული სათეატრო დარბაზი. ისეთი სივიწროვე იყო სცენასა და პარტერში, რომ „კატა კუდს ვერ მოიქნევდა". მსახიობთა შესახებ არას ვიტყვით, რადგან მათ სხვა პირობებში უფრო უკეთ უთამაშნიათ. სცენის მოყვარეთა შორის ლაზათიანად განასახიერეს გ. მარგველაშვილმა გაიანე და ან. კავთელმა რუქაია. არ უჭირდა რა სააკოვს (ისახარ) და თავდგირიძეს (დათო). მართალია, სცენა მეტად პატარაა, ასე რომ ხშირად დეკორაციასა და ოთახის კედლებს უშნოდ არხევენ ხოლმე, მაგრამ აქაც შეიძლებოდა მხატვრული მხრის დაცვა. წარმოდგენის შემდეგ მიწვეულ მსახიობთ ვახშამი გაუმართეს ი. ივანიძის ტოლუმბაშობით, რაიც დილის 6 საათამდე გაგრძელდა. ვახშამზე ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა. სხვათა შორის, შ. ნავთლუღელმა ევ. მესხს და გ. აბაშიძეს სადღეგრძელოს დროს ექსპრომტად უთხრა:

„გულწრფელად გიძღვნით მადლობას
ბნელი უბნისა შვილები,
იცოცხლეთ მრავალჟამიერ,
რომ კვლავაც გვფინოთ სხივები!"

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საჭირო სათეატრო დარბაზის გაფართოება, გადაკეთება, ანუ ახალის აშენება ცოტა უფრო ახლო. ბატონებო, სამკალი ბევრია—მომკალი კი მცირედ.. მიემშველენით განაპირა უბნელთ და მათი სულიერი წყურვილი დააკმაყოფილეთ რაც შეიძლება რიგიანად მოწყობილი წარმოდგენებით...

—**ერი**

**„სინათლე" ბაქოში.** მე პატარა კაცი გახლავართ და ძლიერ მიმძიმს ხმა ამოვიღო „სინათლის" შესახებ მით უფრო, რომ ამ შესანიშნავ პიესაზე ბევრი რამ ითქვა და ბევრიც დაიწერა. არ შემიძლია დავეთანხმო დიდათ პატივცემულ ბ. გრ. რობაქიძეს, ვითომც „სინათლეს" შანტანის ხასიათი ჰქონდეს და ხალხიც ბევრი იმიტომ ესწრებოდეს, რომ ვითომც შიგ ტიტველა ქალები გამოდიან. არა, ეს ასე არ არის: მე მძაგს უოველგვარი შანტანი, მძაგს იმიტომ, რომ მასში (შანტანში) ბევრი უმსგავსო არსება იღუპება და იღლობა გარყვნილების მორევში... მარა „სინათლე"-კი სულ სხვაა... „სინათლის" წარმოდგენაზე დასწრება არასოდეს მომბეზრდება, რადგან ის აღფრთოვანებული ეროვნული გრძნობით არის დაწერილი... „სინათლეს" აქვს თავისი შესანიშნავი ღირსება. პატივცემულს ჩვენს მწერალს ი. გედევანიშვილს სამშობლოსა და ჩვენი ხალხისათვის სინათლე სწყურია, სინათლე ჰსურს და მხოლოდ სინათლე.. განა ამაზე კარგი არისდა რამე?

16 გიორგობისთვე სწორედ რომ დღესასწაული იყო ბაქოს ქართველებისათვის. მთელი ქართველობა მოზღვავდა მაილოვის დიდ თეატრში. ბევრს ეშინოდა: „ვაი, თუ ვერ შესძლონ და შევრცხვეთ სხვების წინაშეო", მაგრამ გამოცდილმა და მუყაითმა რეჟისორმა ბ. შალვა დადიანმა ყველა დაბრკოლება დასძლია და ბაქოელებს გვაჩვენა „სინათლე".. გვაჩვენა საუცხოვოდ.. რა თქმა უნდა, ნაკლიცა ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც მადლობელი უნდა ვიყვეთ ბ. შალვა დადიანისა და ბ. ამირაგოსი, რომ მათ „სინათლე" გვაჩვენეს ბაქოში.

ვ. კ—ძე

# წვრილი ამბები

**ვასო აბაშიძის ბენეფისი** გაიმართება ოთხშაბათს 26 გიორგობისთვეს, „არტ. საზ. თეატრში." დაიდგმის „მზის დაბნელება საქართველოში" ზ. ანტონოვისა (რეჟისორის ალ. წუწუნავას გეგმით) და „ლამე", დრამ. ეტ. 1 მოქ. ნინო ჩხეიძის მონაწილეობით.

**ახალი დღიური გაზეთის** „საქართველოს" გამოცემა განუზრახავს მგოსანს ალ. შანშიაშვილს.

**წამოდგენა უნდა გათავდეს** ხოლმე ღამის 11 საათზე თანახმად მეფის მოადგილის 18 გიორგობისთვის განკარგულებისა. ურჩთ დააჯარიმებენ სამასი თუმნით ანუ სამ თვემდე ციხეში ჯდომით.

**ნაძალადევის ს ენის მოყვარეთა** წრის რეჟისორად ისევე მიწვეულ იქმნა ს. სვიმონიძე, რომელიც უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

**ნაძალადევის თეატრში** დღეს სვიმონიძის რეჟისორობით და ე. ჩერქეზიშვილის, ე. აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება „რაც გინახავს—ველარ ნახავ", ა. ცაგარლისა. ადგილების ფასი 10—30 კ. თეატრი განახლებულია, შვლებილი და 4 ფეჩია დადგმული.

**თეატრის აღმადგენელ კომიტეტის** კრებამ კ. ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით 14 გიორგ. აირჩია სააღმასრულებლო ბიურო: თ. კ. ნ. აფხაზი (თავჯდომარე, თ. მ. ა. სუმბათაშვილი (თავმჯდ. მოადგილე), თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი (ხაზინადარი), ი. კ. გედევანიშვილი (მდივანი). თ. ნ. რ. ერისთავი, გ. მ. ლასხიშვილი, გ. დ. ჟურული ნ. დ. ერისთავი, ივ. გ. გომართელი, სვ. ფორაქიშვილი.

**რუსულ ქართული სას. კონცერტი** კ. ფოცხვერაშვილის მონაწილეობით კავკასიის მებრძოლ ლაშქრის ჯარის კაცთა სასარგებლოდ გაიმართება დღეს მეფის მოადგილის სასახლეში.

**სააღმშენებლო ბიუროს** პირველი კრება შესდგა 17 გიორგობისთვეს, რომელმაც დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ფულის მოგროვებისათვის ნებართვის ასაღებად.

Дозволено военной цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

## წ ვ რ ი ლ ი   ა მ ბ ე ბ ი

◆ **სათეატრო კომიტეტის** ხაზინადარი თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი ფულით შეწირულებას მიიღებს და სამეურნეო ბანკში შეინახავს კომიტ. თავმჯ. კ. ნ. აფხაზის სახელზე.

◆ **გ. დ. ჟურულმა** შეადგინა თეატრის აღმადგენელ კომიტეტის საალმაშენებლო ბიუროს სამოქმედო ინსტრუქცია, რომელიც 17 გიორგ. კრებამ. მოიწ..

◆ **ხარფუხის კლუბი** კვირას გადავიდა საზაფხულო ბინაზე, რომელიც საზამთროდ გადაკეთდა (მიხეილის პრ. № 131, აპოლოს გვერდით).

◆ **ქართული თეატრის აღსადგენად ბორჩალოელმა თათრებმა** თავ.-აზნ წინამძღოლს (სადამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეს) თვისი სურვილი გამოუცხადეს ფულის შესაკრებლად და შესაფერი სიებიც მოსთხოვეს, რომლებიც უკვე გაეგზავნა.

◆ **ახალგაზდა მგოსნების** სანდრო შანშიაშვილის „ივერიკო“ და ი. გრიშაშვილის „ზღაპარი გამკში“ წარმოდგენილ იქნება ამ მოკლე ხანში მსახიობთა ამხანაგობის მიერ.

◆ **ცნობილმა მწერალ—მოღვაწემ გ. მ. თუმანიშვილმა** ქართ. თეატრის აღსადგენად ფონდის გასაძლიერებლად ჩვენს რედაქციას გადმოსცა თვის მიერ შედგენილი და გამოცემული ოცდაათი წიგნი (I. II და III) „Характеристики и воспоминанія,“ რომლებშიაც, სხვათა შორის, ქართული თეატრისა და მწერლობის შესახებ წერილებია მოთავსებული. თითო წიგნი ღირს 50 კ. სულ 15 მან. გვპირდება ამ წიგნების გასყიდვის შემდეგ კიდევ გამოგვიგზავნით სხვა წიგნებს ამავე მიზნისათვის გასასყიდათ. მსურველთ შეუძლიანთ წიგნები ჩვენს რედაქციაში მოიკითხონ.

ჟ უ რ ნ ა ლ ი




წლიურად 5 მ., ნახევარიწლით 3 მ, თითო ნომერი ყველგან 10 კ. ჟურნალში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ. Ред жур. „Театри да Цховреба“ Іос. Зах. Имедашвили.

**მიიღება ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანი.**

პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1) დილით 9-2 ს. საღ. 5-6 ს.



# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ИВАНЕ МАЧАБЛИС თარგმანებისა.

## შექსპირის

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ შექსპირის რვა ტრაღედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი. მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, მორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1. მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში**: ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**





·(წ.—35) 4—2

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის

# სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ღამბაშიძე

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

## ექიმები:

**ა. ლ. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ. ღამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. მ. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**ზ. ფ. ნათიშვილი**

ანისა, ვენერიული და სიფილისის.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მანსუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. ი. გედევანიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. ფ. 30 კ. ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(12—11)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

ა. მ. ახნაზაროვისა

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(7—11)

22 აგვისტ. ამოდის ყოველდღიური საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

**ახალი აზრი**

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ – 90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.

**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერი მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

**შრომა** სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

დაიბეჭდა და გამოვიდა „სორაპანი“-ს გამოცემა

ქართული ანბანი

შედგენილი [illegible] მიერ, ნაწ. I.

ფასი 80 კ.



სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапань“